ა ნ გ ა რ ი შ ი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2015 წლის გაწეული მუშაობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, რომელიც წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, შეიქმნა 2014 წლის 2 აგვისტოს, რომლის შემადგენლობა განისაზღვრა 7 წევრით.

ერთგვაროვან ფუნქციათა დაჯგუფების მიხედვით კომისიაში შექმნილია ორი სამუშაო ჯგუფი: 1. სამანდატო და საპროცედურო საკითხთა სამუშაო ჯგუფი;

2. საკადრო პოლიტიკისა და ეთიკის სამუშაო ჯგუფი;

2015 წლის განმავლობაში კომისია თავის საქმიანობას წარმართავდა საქართველოს კონსტიტუციის, ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის, კომისიის დებულებისა და სამუშაო გეგმის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ მომზადებული და ჩატარებული იქნა 21 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 31 საკითხი.

გეგმით გათვალისწინებული საკითხების მიხედვით - ბიუროსა და საკრებულოს სხდომებისათვის განსახილველ პროექტებზე მომზადებულ იქნა კომისიის 13 დასკვნა.

ესენია:

- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტზე.

- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ოქტომბრის N67 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ განკარგულების პროექტზე.

-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში ადმინისტრაციულ და საამშნებლო სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისთვის დოკუმენტების ფორმების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ოქტომბრის N69 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს აპარატის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის მოსაკრებელის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე.

- „დაბა ურეკში სანაპიროს ქუჩაზე მცხოვრებ მოქალაქის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“.

- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების გერბისა და დროშის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების პროექტზე.

- საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე.

- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს N1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე.

- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 ოქტომბრის N33 დადგენილებაზე მიღებული სამართლებრივი დასკვნის თაობაზე“.

-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტზე“.

პერიოდულად ისმინებოდა ანგარიშები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ფრაქციათა რეგისტრაციის, გაუქმების, შემადგენლობიდან წევრის გასვლის, გარიცხვის, ფრაქციის თავმჯდომარისა და სხვა ხელმძღვანელი პირების არჩევის, გადაყენებისა და გადადგომის საკითხებზე ბიუროსა და საკრებულოს სხდომებისათვის გადაწყვეტილების პროექტი მომზადდა 10 შემთხვევაში, აქედან ორ შემთხვევაში გადაწყვეტილება მომზადდა ფრაქციის რეგიტრაციის (1.კოალიცია ქართული ოცნება-კონსერვატორები, 2. კოალიცია ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი) თაობაზე, ხოლო სამ შემთხვევაში ფრაქციის გაუქმების (1. ძლიერი სოფელი, 2. კოალიცია ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი, 3. პატრიოტთა ალიანსი) თაობაზე. ერთ შემთხვევაში მიღებული იქნა უარყოფითი დასკვნა და ფრაქციას „გენდერი ჩვენი ოზურგეთისათვის“ უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

ფრაქციის შემადგენლობიდან წევრის გასვლასთან დაკავშირებით განხილული იქნა ორი (დეპუტატ დავით თენიეშვილისა და როზეტა სკამკოჩაიშვილის) განცხადებები.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილება შეუჩერდა საკრებულოს წევრ შოთა ართმელაძეს, ხოლო დეპუტატ ზაზა გობრონიძეს საკუთარი განცხადების საფუძველზე შეუწყდა სადეპუტატო უფლებამოსილება.

კომისიის წევრობის უფლებამოსილების შეჩერება, შეწყვეტის, კომისიის სამუშაო ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების არჩევას კომისიამ მიუძღვნა ორი სხდომა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტას, ხოლო მეორე ამავე კომისიის თავმჯდომარედ საკრებულოს დეპუტატ დავით ჭაკნელიძის არჩევას.

საკრებულოს წევრის უფლებამოსლების ცნობისა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების პროექტი მომზადებული იქნა ორ შემთხვევაში, დეპუტატ

ზაზა გობრონიძის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა და ბიძინა ლომჯარიას საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში დაწესებული იყო კონტროლი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის, სამსახურებრივი ეთიკის, ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე.

კომისია სისტემატიურად უზრუნველყოფდა შემოსული წერილების, განცხადებების და პროექტების განხილვას.

კომისიის უფლებამოსილების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე იკვლევდა მოსახლეობის ინტერესებს.

კომისიამ სხვა კომისიებთან და ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული სართველოსთან ერთად აქტიურად იღვაწა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბებას, რამაც განაპირობა პრემიალურ ფონდზე უარის თქმა და გამოყოფილი 177 000 ლარიდან 157 000 ლარი დამატებით მოხმარდება ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმას, ხოლო 20 000 ლარი C ჰეპატიტით დაავადებულთა დიაგნოსტიკას.

კომისიამ საანგარიშო პრიოდის განმავლობაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავა მომდევნო წლის სამუშაო გეგმა, რაც იმედს იძლევა იმისა, რომ კომისიის მუშაობა უფრო ნაყოფიერი და წარმატებული იქნება 2016 წლის საანგარიშო პერიოდისთვის.

კომისიის თავმჯდომარე: **ე. გორდელაძე**